



დანართი უსაფრთხო ქვეყნებიდან თავშესაფარის მაძიებელთათვის

თქვენ ჩამოხვედით 'უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნიდან'. რომელი ქვეყნებია უსაფრთხო და რას ნიშნავს ეს?

უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნები არიან: ალბანეთი, ალჟირი, ანდორა, ავსტრალია, ბელგია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბრაზილია, ბულგარეთი, კანადა, კვიპროსი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, განა, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, ინდოეთი, იტალია, იამაიკა, იაპონია, კოსოვო, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მაკედონია, მალტა, მაროკო, მონაკო, მონღოლეთი, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ახალი-ზეილანდია, ნორვეგია, უკრაინა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სან-მარინო, სენეგალი, სერბეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ესპანეთი, ტოგო, ტრინიდადი და ტობაგო, ჩეხეთი, ტუნისი, ვატიკანი, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, შვედეთი, შვეიცარია.

თქვენ საყურადღებოდ! აღნიშნული სია მუდმივად იცვლება. ყველაზე აბტვალურ სიას იხილავთ: www.rijksoverheid.nl/onderwerpen/asielbeleid/vraag-en-antwoord/lijst-van-veiligelanden-van-herkomst

ნიდერლანდების მთავრობამ მონიშნა გარკვეული ქვეყნები როგორც 'უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნები'. რადგან მდგომარეობა ამ ქვეყნებში საკმაოდ უსაფრთხოა უკან დასაბრუნებლად. ამ ქვეყნებიდან ჩამოსულ თავშესაფარის მაძიებლებს თითქმის არ აქვთ შანსი რომ ნიდერლანდებში თავშესაფრით ცხოვრების უფლება მიიღონ. იმ შემთხვევაში თუ თქვენ თავშესაფარზე უარს მიიღებთ და ან თავშესაფარის თხოვნის განხილვის შეჩერებას მოითხოვთ, ნიდერლანდების მთავრობის ბრძანების თანხმობით ღებულობთ თქვენ ქვეყანაში ხელახლა შემოსვლის აკრძალვას. და წარმოწობის ქვეყანაში.

როგორ მიმდინარეობს პროცესი თუ თქვენ ჩამოხვედით უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნიდან?

თავშესაფარის მოთხოვნის შემდეგ იწყება თავშესაფარის დაჩქარებული პროცედურა. ინტერესების დამცველი ორგანიზაცია - ლტოლვილთა დახმარების საბჭო (VluchtelingenWerk Nederland - VWN) მოგაწვდით ინფორმაციას თავშესაფარის მოთხოვნის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ თქვენ უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნიდან ჩამოხვედით გექნება ერთი გასაუბრება-ინტერვიუ იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურთან (Immigratie- en Naturalisatie Dienst - IND). ადვოკატი მოგამზადებთ ამისთვის. IND-სთან ინტერვიუს დროს თქვენ მოგეცემათ საშვალეა რომ აუხსნათ საიმიგრაციო სამსახურს, თუ რატომ არ არის თქვენი წარმოშობის ქვეყანა თქვენთვის უსაფრთხო. იმ შემთხვევაში თუ თქვენ ამას დამაჯერებლად ახსნით, შეწყდება დაჩქარებული პროცესი. საიმიგრაციო სამსახური განიხილავს თქვენ მოთხოვნას თავშესაფარის ზოგადი პროცედურის მიხედვით (Algemene Asielprocedure - AA).

იმ შემთხვევაში თუ თქვენ საიმიგრაციო სამსახურს ვერ აუხსნით და ანუ ვერ დაარწმუნებთ მიიღებთ დროებითი უარყოფითი გადაწყვეტილებას თავშესაფარის მოცემაზე. ამ შემთხვევაში მოგეცემათ საშვალეა რომ ადვოკატს გაესაუბროთ, და თუ ადვოკატთან საუბრის შემდეგ არანაირი ცვლილება არ მოხდა? მაშინ თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ ნიდერლანდები. თქვენი უფლება დროებით თავშესაფარზე წყდება და თქვენ ღებულობთ ხელახლა შემოსვლის აკრძალვას.

რას ნიშნავს თქვენთვის ის, როდესაც თქვენ 'ხელმეორეთ შემოსვლის აკრძალვას' ღებულობთ?

თუ საიმიგრაციო სამახურმა თავშესაფარზე უარი გითხრათ ან და თუ თქვენ გადაიფიქრეთ თავშესაფარის მოთხოვნის განხილვის გაგრძელებას მიიღებთ ჰვეყანაში 2 წლით ხელახლა შემოსვლის უარს. მხოლოდ და მხოლოდ მცირეწლოვანი პირები მიიღებენ ჰვეყანაში ხელახლა შემოსვლის აკრძალვას. თუ თქვენ ბრძანებას არ შეასრულებთ ხელმეორედ შე მოყვლის პირობებს, არღვევთ კანონმდებლობას და ამით იდენთ სისხლსამართლებრივი დანაშაულს. რაც სასჯელს ითვალისწინებს. ხელმეორედ შემოსვლის აკრძალვა ნიშნავს რომ თქვენ არა გაქვთ უფლება ქვემოთ მოცემული ქვეყნებში შემოსვლა:

ნიდერლანდები, ბელგია, ბულგარეთი, კვიპროსი, დანია, გერმანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ჰუნგარეთი, ირლანდია, იტალია, კროაცია, ლატვია, ლიხტენშტაინი, ლიტვა, ლუქსემბურგ, მალტა, ნორვეგია, ავსტრია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, ჩეხეთი, დიდი ბრიტანეთი, ისლანდია, შვედეთი და შვეიცარია.

რა მოჰყვება იმას როდესაც თქვენ თავშესაფარზე უარს მიიღებთ

თქვენი უფლება დროებით თავშესაფარზე წყდება და თქვენ ღებულობთ ხელმეორედ შემოსვლის აკრძალვას. ამ შემთხვევაში თქვენ ნიდარლენდები დაუყოვნებლივ უნდა დატოვოთ. De Dienst Terugkeer en Vertrek (DT&V) - უკან დასაბრუნებელი და რეპატრაციის სამსახური დაგეხმარებათ თქვენ დაბრუნებაში. თქვენ შეიძლება გადაყვანილი იქნათ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში (VBL) და ან და ოჯახებისთვის განსაზღვრული (GL). მხოლოდ და მხოლოდ ოჯახები მცირეწლოვანი ბავშვებთან დროებით დაბინავდებიან (GL). როგორც VBL, ასევე GL), რაც მიზნად ისახავს თქვენს დაბრუნებას თქვენი წარმოშობის ქვეყანაში. ან იქნებით გადაყვანილი უცხოელთა საპატიმროში იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლებას თქვენი გაძევება შეუძლია. თუ თქვენ არ იქნებით გადაყვანილი არც თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში და არც უცხოელთა საპატიმროში? ამ შემთხვევაში ნიდერლანდები თქვენ თვითონ და დამოუკიდებლად უნდა დატოვოთ. თქვენი წარმოშობის ქვეყანაში დამოუკიდებლად დაბრუნების დროს, ხშირ შემთხვევაში ფულადი თანხას არ მიიღებთ. იმ შემთხვევაშიც კი თუ თქვენ თავშესაფარის მოთხოვნას შეწყვეტთ.

რატომ შეუძლიათ უსაფრთხო ქვეყნებიდან თავშესაფარის მაძიებლებს უფრო ადრე მოუყვანონ თავშესაფარის მოტივის შესახებ IND-ს?

უსაფრთხო ქვეყნებიდან თავშესაფარის მაძიებლებს ინტერვიუ უწევთ უფრო ადრე, რადგან არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ისინი არ მიიღებენ თავშესაფარს. ისინი იკავებენ დროებითი თავშესაფარის ადგილს, რომელიც განკუთვნილია მათთვის, ვისაც თავშესაფარის მიღების კარგი შესაძლებლობა გააჩნია.

რა მოსდით თავშესაფარის იმ მაძიებლებს, რომლებიც აწუხებენ გარშემო მყოფებს?

ნიდერლანდების ხელისუფლება მოელის ყოველი უცხოელისგან კარგ ქცევას, მათ შორის თქვენგანაც. (უარით დასრულებული პროცედურის მქონე) თავშესაფარის მაძიებლებს, რომლებიც აწუხებენ გარშემო მყოფებს დროებითი თავშესაფარის ადგილებში და მის გარშემო, შეუძლიათ ელოდონ დაუყოვნებელი ზომების მიღებას. მაგალითად: ტერიტორიაზე შემოსვლის აკრძალვა ან უცხოელთა საპატიმროში გადაყვანა. აგრეთვე პატიმრობის შეფარდებაც არის შესაძლებელი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

www.ind.nl/asiel

ეს ბროშურა წარმოადგენს შემდეგი ორგანიზაციის გამოცემას: იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური (IND)

ამ ბროშურის შინაარსი სამართლებრივად სავალდებულო არ არის. თუ თარგმანი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, მაშინ ნიდერლანდური ვარიანტი არის განმსაზღვრელი.